



ანჰედონია, Covid-19-ის სტრესი და დაძლევა

პანდემიის დროს საქართველოში

თეკლე კობახიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

PhD, MSW, LCSW ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეკლე კობახიძე

18.06.2021

## მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მადლობა ჩემს ხელმძღვანელს გვერდში დგომისა და დახმარებისთვის, ღიაობისა და ხელმისაწვდომობისთვის, უკუკავშირებისთვის, ხელშეწყობისათვის და ჩემზე მზრუნველობისთვის.

ასევე, მადლობა მინდა გადაუხადო ირინა ვარდანაშვილს გამოყოფილი დროისა და გულისხმიერებისთვის, სტატისტიკურ ნაწილში გაწეული კონსულტაციებისთვის.

და ბოლოს, მადლობა ჩემს კურსელებს თანადგომის, ერთობისა და გუნდური მუშაობისთვის.

## აბსტრაქტი

**ფონი:** პანდემია ადამიანთა ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. როგორც კვლევებიდან ჩანს, ამ დროს მისი ბევრი ასპექტი იცვლება და ძირითადად უარყოფითი მიმართულებით.

**მიზანი:** წინამდებარე ნაშრომის მიზანია იკვლიოს ანჰედონია, Covid-19-ის სტრესი და დაძლევა პანდემიის დროს საქართველოში და უპასუხოს კითხვას: რა მიმართებებია კოვიდ-წუხილს, ანჰედონიას, გამკლავების ქცევებს და სტილებს შორის?

**მეთოდი:** კვლევაში მონაწილეობდა 18 წელს გადაცილებული 732 საქართველოს მცხოვრები, გენდერული მიღებული ბალანსით (1:5 ქალი:მამაკაცი). კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა სოციალური ქსელების სივრცე. მონაწილეები გამოიკითხნენ სტრუქტურირებული ონლაინ კითხვარით. შერჩევის ტიპად გამოყენებულ იქნა მისაწვდომი შერჩევა. კვლევა ჩატარდა 2020 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში, პანდემიის მეორე ტალღის პიკის დროს.

**შედეგები:** გამკლავების რაციონალური სტილები უარყოფით და ემოციური სტილები დადებით კავშირში აღმოჩნდა ანჰედონიასთან. გამკლავების რაციონალური სტილები დადებით და ემოციური სტილები უარყოფით კავშირში არ იყვნენ კოვიდ-წუხილთან. კოვიდ-წუხილი დადებით კავშირში იყო გამკლავების ქცევებთან, ანჰედონია კი უარყოფით კავშირში გამკლავების ქცევებთან.

ანჰედონია გამკლავების ემოციური სტილის დადებითი და რაციონალური სტილის უარყოფითი პრედიქტორი და კოვიდ-წუხილი გამკლავების რაციონალური სტილის დადებითი და ემოციური სტილის უარყოფითი პრედიქტორი მხოლოდ ნაწილობრივ იყო. კოვიდ-წუხილი გამკლავების ქცევების დადებითი პრედიქტორი აღმოჩნდა, ხოლო ანჰედონია კი უარყოფითი პრედიქტორი.

**დასკვნა:** როგორც ჩანს, თუ სტრესი მაღალია, გამკლავების ალბათობაც იზრდება, ადამიანი ეძებს გზას, თუ როგორ გადალახოს შეამწუხებელი ფაქტორები, რომლებიც პანდემიას მოყვა და ხელს უშლის ჯანსაღ ფუნქციონირებაში (მაგ: ანჰედონია),

თუმცა, როგორც ჩანს, უფრო მეტად მოწყვლადია პრობლემასთან გამკლავების ემოციური სტილის გამოყენების მიმართ.

**საკვანძო სიტყვები:** Covid-19, პანდემია, ანჰედონია, კოვიდ-წუხილი, გამკლავების სტილები/ გზები , გამკლავების ქცევები.

## Abstract

**Background:** Pandemic is a significant challenge to human mental health. As studies show, many of its aspects are changing at this time and mostly in a negative direction.

**Objective:** The purpose of this paper is to investigate Anhedonia, Covid-19 stress and overcoming pandemic in Georgia and to answer the questions: What are the relationships between Covid-worry, anhedonia, coping behaviors, and styles?

**Method:** The study involved 732 Georgians over the age of 18 with a gender balance (1 : 5 female : male). Social networking space was used to conduct the research. Participants were interviewed with a structured online questionnaire. Available sampling was used as the sampling type. The study was conducted in the first half of December 2020, during the peak of the second wave of the pandemic.

**Results:** Rational styles of coping are negative and emotional styles were found to be positively correlated to Anhedonia. Rational coping styles with positive and emotional styles were not found to be negatively correlated to Covid-worry. Covid-worry was positively correlated with coping behaviors, while Anhedonia was negatively correlated with coping behaviors.

Anhedonia was only partially the positive predictor of the emotional style of coping and the negative predictor of rational style of coping. Also, Covid-worry was only partially the positive predictor of the rational style of coping and the negative predictor of the emotional style of coping. Covid-worry turned out to be a positive predictor of coping behaviors, while Anhedonia was a negative predictor.

**Conclusion:** It seems that if stress is high, the likelihood of coping also increases, people are looking for ways to overcome the disturbing factors that have led to a pandemic and hinder healthy functioning (e.g. anhedonia), although they seem to be more vulnerable to using emotional style to cope with the problem.

**Keywords:** Covid-19, pandemic, anhedonia, Covid-worry, coping styles, coping behaviors.